დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №44

2010 წლის 29 ოქტომბერი

ქ. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 23 დეკემბრის №14 დადგენილება.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. დადგენილების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ.№2) უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ფიროსმანაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში „სამსახური”) წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, „გარემოს დაცვის შესახებ”, „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ”, „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ”, საქართველოს კანონებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.
3. სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო.
4. სამსახური აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით.
5. სამსახური ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგეობისა და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის წინაშე, რომელთაც ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

6. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

7. სამსახურის ადგილსამყოფელია – ქ. დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №42.

თავი II
სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2. სამსახურის ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ზედამხედველობის განხორციელება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობებზე; მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი, კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე;

ბ) ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მოწყობის, კეთილმოწყობის, დასუფთავების, კომუნალური მომსახურების ორგანიზებაზე. საბინაო კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის დარგში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

გ) ზედამხდეველობა ქ. დედოფლისწყაროსა და სოფლების იერსახეზე, გარე რეკლამის განთავსებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესებზე, გარე ვაჭრობაზე, ავტოტრანსპორტის პარკირებაზე, საგზაო მეურნეობის სფეროზე. ტრანსპორტის, საგზაო მეურნეობის, ვაჭრობის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შემავალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;

დ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებებზე ზედამხედველობა;

ე) ზედამხედველობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების, მიწათსარგებლობის წესების დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებაზე. გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შემავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სამსახურის ფუნქციებია:

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი წესების დარღვევების გამოვლენა, მათი ხასიათისა და სახეობის განხილვა, ფაქტობრივი ან მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება და დამრღვევის მიმართ სანქციების გატარებაზე გადაწყვეტილების მიღება „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე;

ბ) კონტროლის დაწესება სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვასა (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნარჩენების სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში გატანა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკვეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების ჩატარების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა) და დაზიანებული ქუჩების, მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;

გ) გარე რეკლამის განთავსების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი;

დ)კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესების დაცვაზე

(შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციათა კიოსკების და ჭების, საქალაქო მეურნეობის და სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე);

ე) გარე ვაჭრობის და ავტოტრანსპორტის პარკირების დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესრულებაზე კონტროლი;

ვ) უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება;

ზ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ ხმაურის, ინსოლაციისა და დასუფთავების განსაზღვრული სანიტარიული ნორმების დაცვაზე, სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

თ) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, პროფილაქტიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების შემუშავება, მიწერილობის გაცემა;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავების ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობის, მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობის, მიწის ნაკვეთების არამიზნობრივად გამოყენების და მიწის დაცვის წესების შეუსრულებლობის ფაქტების გამოვლენა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ღონისძიებების გატარება;

კ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება;

ლ) ახლად აშენებული, რეკონსტრუირებული ობიექტების, დამთავრებული სამუშაოების მიმღებ კომისიებში მონაწილეობის მიღება;

მ) ზედამხედველობა ადგილობრივი ბიუჯეტის არასაგადასახადო და ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებაზე.

თავი III
სამსახურის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 3. სამსახურის უფლება-მოვალეობები

1. სამსახური უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით:

ა) შეამოწმოს მის კონტროლს დაქვემდებარებული სამშენებლო ობიექტები;

ბ) მოსთხოვოს მშენებლობაში მონაწილეებს ყველა აუცილებელი საპროექტო, ნორმატიული, საშემსრულებლო და სამშენებლო მასალების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

გ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის გასცეს მიწერილობა პროექტის სამშენებლო ნორმებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ;

დ) „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მიიღოს დადგენილება კანონმდებლობის დარღვევით აშენებული, აღდგენილი, რეკონსტრუირებული ან/და დამონტაჟებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის შესახებ;

ე) მიიღოს დადგენილება არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

ვ) განახორციელოს კონტროლი:

ვ.ა) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ სანიტარიული ნორმების შესრულებაზე, აგრეთვე პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაზე;

ვ.ბ) ინფექციური და მასობრივი არგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების, გავრცელების მიზეზების გამოვლენასა და ამ დაავადებების და მოშხამვების პროფილაქტიკისაკენ მიმართულ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე;

ზ) ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მოთხოვნით ან მისი თანხმობის საფუძველზე გამოიკვლიოს საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართი, მშენებლობის მიმდინარეობის დროს დარღვევის გამოვლენისას შეადგინოს მიწერილობა ხმაურის ინსოლაციის და დასუფთავების დადგენილი სანიტარიული ნორმების მოთხოვნათა დარღვევის აღმოფხვრის შესახებ;

თ) აწარმოოს კონტროლი საქალაქო მეურნეობის, კეთილმოწყობის, დასახლებული ტერიტორიის გარე იერსახის, გარე რეკლამის, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირებისა და სანიტარიული დასუფთავების ღონისძიებებზე, მიწათსარგებლობის წესების დაცვაზე;

ი) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის, აგრეთვე თანამდებობის პირის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე და აღნიშნულ სამუშაოებზე დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე;

ბ) განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობის, დასახლებული ტერიტორიების გარე იერსახის, გარე რეკლამის, ავტოტრანსპორტის პარკირების, მიწის რესურსების მართვისა და განკარგვის საკითხებზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარის და გამგებლის სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;

გ) აწარმოოს კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ადგილების შეზღუდვაზე, ქუჩებზე, მაგისტრალებზე, მოედნებზე, პარკებში, სკვერებში, დასასვენებელ ზონებში, საერთო სარგებლობის ეზოებში მიწის გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე, მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების ჩაწყობა-გადაკეთებაზე, სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვების მოწყობაზე, ქუჩის დროებით გადაკეტვაზე ან ნაწილობრივ შეზღუდვაზე, ჭაბურღილების დაყენებაზე, შენობათა საძირკვლების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებაზე, სამშენებლო პოლიგონების ქვაბულებიდან მიწის გრუნტისა და სამშენებლო ნაგვის სპეციალურად გამოყოფილ საყრელებზე გატანასა და აღნიშნული სამუშაოების დადგენილი წესებით და განსაზღვრულ ვადებში შესრულებაზე;

დ) აწარმოოს კონტროლი დასახლებული პუნქტების, ქ. დედოფლისწყაროსა და სოფლების სანიტარიული დასუფთავების, აგრეთვე საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავების, ჩამარხვისა და უტილიზაციის დროს სანიტარიული ნორმების დაცვაზე;

ე) აწარმოოს ზედამხედველობა ხეებისა და მწვანე ნარგავების გეგმაზომიერ განთავსებაზე, მათ მოჭრაზე, ამოძირკვაზე ან დაზიანებაზე.

3. სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საამისოდ უფლებამოსილი პირი.

თავი IV

სამსახურის მართვა

მუხლი 4. სამსახურის მართვა და სტრუქტურა

1. სამსახურის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციას და კოორდინაციას უწევს სამსახურის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში განსაზღვრავს საკრებულო, ხოლო თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საშტატო ნუსხას გამგებლის წარდგინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) უძღვება სამსახურის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის მუშაკებს შორის და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

გ) გამგებელს თანამდებობაზე დასანიშნად და თანამდებობიდან გასათავისუფლებლად წარუდგენს სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა კანდიდატურებს;

დ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ტექნიკურ და სამშენებლო ინსპექციას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) ახორციელებს გამგეობის დებულებით და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებას.

3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

4. სამსახურის უფროსის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

5. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობებს ასრულებს სამსახურის ერთ-ერთი მოხელე, გამგებლის დავალებით.

6. სამსახურს არა აქვს სტრუქტურული ქვედანაყოფები.

მუხლი 5. სამსახურის საჯარო მოსამსახურე

სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები თანამდებობაზე ინიშნებიან და თავისუფლდებიან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები

სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს უფლება აქვთ:

1. წარუდგინონ უშუალო ხელმძღვანელს წინადადებები მათი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სრულყოფის თაობაზე.

2. მიიღონ მუშაობისთვის აუცილებელი კონსულტაციები.

3. ისარგებლონ მუშაობისთვის საჭირო სამართლებრივი აქტებით, საინფორმაციო და სხვა მასალით.

4. დააყენონ უშუალო ხელმძღვანელის წინაშე საკითხი, მოსამსახურეთა ფუნქციური მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

5. დადგენილი წესით ისარეგებლოს გასამრავლებელი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით და სხვა შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით.

6. ისარგებლონ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურის სხვა უფლებებით და გრანტებით.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა მოვალეობები

სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ვალდებულნი არიან:

1. ზუსტად შეასრულონ და დაიცვან „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით, ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციონალური მოვალეობანი.

2. დროულად და სრულყოფილად შეასრულონ უშუალო და ზემდგომი ხელმძღვანელის დავალებები.

3. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას დაიცვან საიდუმლოების რეჟიმი.

4. იმუშაონ პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად.

5. განუხრელად შეასრულონ გამგეობის შინაგანაწესის მოთხოვნები.

6. გაურთხილდნენ მათ სარგებლობაში არსებულ ტექნიკას, ინვენტარსა და სხვა სახაზინო ქონებას.

თავი V
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების შეტანა, სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა, სამსახურის რეორგანიზაცია და მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.